შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№39 (9.604)

12-19 ოქტომბერი 2013 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ინფრასტრუქტურული სამუშაოები გრძელდება

დედოფლისწყაროში ინფრასტრუქტურული სამუშაოები საკმაოდ ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. ქალაქ დედოფლისწყაროში უკვე დასრულდა რვა ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელშიც შედის გზებზე ასფალტის საფარის დაგება და სანიაღვრე არხების მოწყობა. „რამდენიმე ქუჩაზე ახლაც მიმდინარეობს სანიაღვრე არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები. ფიროსმანის ქუჩაზე ახლახანს დამთავრდა პრობლემური მონაკვეთის შეკეთება. ბეჟანიშვილის ქუჩის ნაწილიც რეაბილიტირებულია. დაგეგმილია კიდევ ცხრა ქუჩის გზის სარემონტო სამუშაოები“-განაცხადა ჩვენთან საუბრისას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსმა სოლომონ ღორაშვილმა.

გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების გარდა ადგილობრივი ხელმძღვანელობა ქალაქის იერსახის გალამაზებაზეც ზრუნავს და ჰერეთის ქუჩაზე მესერს აშენებს. სამუშაოებს შპს „კალციტი“ ანხორციელებს. სამშენებლო სამუშაოების დასრულება თვის ბოლოსაა დაგეგმილი.

„მესიანიზმი“ საქართველოში

როდესაც ამერიკაში ესპანელები პირველად გამოჩნდნენ, ევროპელებმა უბრძოლველად მოახერხეს ქვეყნის ტერიტორიის დაპყრობა. აბორიგენმა მოსახლეობამ ისინი ზარ-ზეიმით მიიღო, რადგან მათში ხალხი არა დამპყრობელს, არამედ მხსნელს ხედავდა. ინდიელების იმდროინდელ ყოფაში მრავლად მოიპოვება მასალა, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ ისინი თეთრკანიან მესიას ელოდებოდნენ.

ქართველი ხალხიც ოდითგანვე მხსნელს ელოდა. ამიტომ იყო გაფეტიშებული ერთი ადამიანის-მეფის ინსტიტუტი. მთელი ქვეყნის მომავალს ის განსაზღვრავდა და იმის მიხედვით, თუ რამდენად ძლიერი ან სუსტი იყო ქვეყნის პირველი პირი, აწმყოც და მომავალიც ამის მიხედვით ყალიბდებოდა. ქართული საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმირებას ხელს უწყობდა ქვეყნის საკმაოდ მძიმე ისტორიული ყოფა, თუმცა, იმის შეგნება, რომ თითოეულმა ადამიანმა თავისი საქმე თვითონ უნდა გააკეთოს, დღემდე არ არსებობს.

ილია ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში დაგმო მესიანიზმის იდეა და ის თავის ლექსში „ბაზალეთის ტბა“ საკმაოდ კორექტულად გააკრიტიკა. თუ კარგად დავფიქრდებით, მივხვდებით, რომ ილუზორულია იმისი წარმოდგენა, წყლის ძირას მდგარ აკვანში ცოცხალი ყრმა იწვეს, თანაც რატომღაც ოქროს აკვანში, „ვისიც არ ვიცით სახელი“ და აუცილებლად ასეთი ბრწყინვალებისა და საიდუმლოების საფარქვეშ გახვეული მომავალი მესია იხსნიდა საქართველოს რუსეთის უღლისგან. ასე იყო მაშინაც, როცა საქართველო სპარსეთის უღელქვეშ დრტვინავდა და საფრთხე ემუქრებოდა ქვეყნის მომავალს...

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ჩვენი ცნობიერება კი კვლავ ამ ძველი ინერციით განაგრძობს არსებობას. ჩვენი ბოლო ოცდახუთწლიანი ისტორიაც ამისი დასტურია.

საქართველოს ისტორია, მას შემდეგ რაც 1991 წელს საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობა მოიპოვა, ხასიათდებოდა გაზვიადებული იმედების მოზღვავებით, რომელიც ერთ პოლიტიკურ მხსნელში იყრიდა თავს, რასაც შემდეგ იმედგაცრუება მოსდევდა. ასე იყო ზვიად გამსახურდიას დროს, როდესაც თითქმის ასპროცენტიანი ნდობით არჩეულ პრეზიდენტს რამდენიმე წელში მოსახლეობის ნაწილმა უნდობლობა გამოუცხადა და ის დევნილად აქცია.

კარგად მახსოვს 90-იანი წლები, ჩემი სტუდენტობის პერიოდი, როცა მოსახლეობა ახალ მესიას- „ბაბუს“ ელოდა და მისგან მოელოდა ხსნას. ამჯერადაც ქართველთა მოლოდინმა კრახი განიცადა. შევარდნაძის მმართველობას რამდენიმეწლიანი უშუქობა,“ გაყინული“ პენსიები და ხელფასები მოჰყვა. მერე იყო „ვარდების რევოლუცია“, შევარდნაძის ეპოქის დასასრული და ახალი იმედების დასაწყისის ერა. სააკაშვილიც ისეთივე იმედებით აირჩიეს პრეზიდენტად, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის პირველი პირების უმეტესობა. ამიტომ დასასრულიც წინამორბედთა იდენტური იყო.

საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც 27 ოქტომბერს არის დაგეგმილი, წყალგამყოფი გახდება ერთი მნიშვნელოვანი თვალსაზრისით: საქართველო საპრეზიდენტოდან საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაიქმნება, სადაც პრემიერმინისტრის ოფისი ახალი ვალდებულებებით აღიჭურვება. ახალი კონსტიტუცია პრეზიდენტის ძალაუფლებას ზღუდავს.

ივანიშვილი არ მონაწილეობს საპრეზიდენტო არჩევნებში და პირობას დებს, რომ ამ წლის ბოლომდე პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდანაც გადადგება. ასეთი გადაწყვეტილების ახსნა იმით შეიძლება, რომ ეს ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანი ნაბიჯია, რომელსაც შეუძლია საქართველო „მესიის კომპლექსისგან“ იხსნას, როდესაც ერთ ძლიერ ლიდერში ხდება უზარმაზარი მოლოდინის კონცენტრაცია. ივანიშვილს, იმის თქმით, რომ გადავდგებიო, შეიძლება იმედი აქვს, რომ საქართველოს 4.5 მილიონი მოსახლე ბოლოს და ბოლოს აიღებს პასუხისმგებლობას საკუთარ ბედზე და არ იქნება ლიდერების პოლიტიკის მხოლოდ პასიური და უკმაყოფილო მომხმარებელი.

ინგა შიოლაშვილი

ჯონ მაკდონალდსი დედოფლისწყაროში



გვ. 3

ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ...

გვ. 6

ეურადღება!

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მუხლი 50. 2-4-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, გაზეთი „შირაქი“ ყველა საარჩევნო სუბიექტს დაუთმობს საგაზეთო ფართს პოლიტიკური რეკლამისათვის. 27 ოქტომბრამდე გაზეთი „შირაქი“ ყოველკვირეულად, თითოეულ ნომერში საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო პარტიებსა და კანდიდატებს გაზეთის ფართს დაუთმობს, რომელიც განკუთვნილი იქნება ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის და თანაბრად გადანაწილდება ყველა საარჩევნო სუბიექტზე. ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი გაზეთის ერთი გვერდის ფასი კი 150 ლარით განისაზღვრება.

ყველაზე სანდო წყარო დედოფლისწყაროში მიმდინარე მოვლენების შესახებ!

- ახალი ინფორმაცია
- სამართლებრივი აქტები
- აუქციონი
- ტენდერი – ყველაფერი
- მხოლოდ ჩვენთან!

ის, რასაც სხვაგან ვერ წაიკითხავთ!

www. dedoplistskaro. ge

გილოცავთ სვეტიცხოვლობას, უფლის კვართის მადლი გვფარავდეს!

C M Y K

ირაკლი ღარიბაშვილი: ჩვენ აფხაზეთში დავბრუნდებით!

„მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ დავბრუნდებით, ენგური კი გახდება არა წყალგამყოფი ჩვენი ერთიანობის, არამედ სიმბოლო ჩვენი ერთიანობისა და საერთო მომავლისა“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი აღნიშნავს, რომ აფხაზეთის დაბრუნება შესაძელებელია და ენგური გახდება სიმბოლო აფხაზეთისა და საქართველოს სხვა რეგიონების გაერთიანებისა:

„განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა ეწეოდე სახელმწიფო სამსახურს იმ რეგიონში, რომელიც ესაზღვრება, ჩვენს დიდ ტკივილს და სევდას, ჩვენს აფხაზეთს, ასობით ათასმა აფხაზეთიდან დევნილმა თავშესაფარი იპოვა სვანეთსა და სამეგრელოში, თუმცა ვერანაირი მასპინძლობა ვერ გაანელებს ამ ტკივილს, მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ დავბრუნდებით, ენგური კი გახდება არა წყალგამყოფი ჩვენი ერთიანობის, არამედ სიმბოლო ჩვენი ერთიანობისა და საერთო მომავლისა“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ზაქარეიშვილმა საზღვრისპირა სოფლის მოსახლეობას კალაძის დანაბარები გადასცა

რეინტეგრაციის მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი კასპის რაიონის გამყოფ ზოლთნ მდებარე სოფლების მოსახლეობას შეხვდა.

ზაქარეიშვილი დაჰპირდა მოსახლეობას, რომ ექვსი თვის განმავლობაში დასრულდება გაზიფიცირება, სულ მალე დასრულდება სასმელი წყლის პრობლემაც და ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებს ხილის რეალიზებასაც.

“აუცილებელია ადგილზე შევისწავლოთ მდგომარეობა კომისის ყველა სხდომის წინ, ვნახოთ რა ხდება. მინდა შს სამინისტროს მადლობა ვუთხრათ. თუ უსაფრთხოება იქნება დაცული ყველაფერი მოგვარდება. 24 საათი აქ არიან, როგორც კი უსაფრთხოების გარანტია გვაქვს მერე უკვე შეიძლება ყველაფრის გაკეთება: ხილი, წყალი, გაზი, მთხოვა კალაძემ რომ მეთქვა თქვენთვის, გამყოფი ზოლის ყველა სოფელი იქნება გაზიფიცირებული ექვს თვეში,“ - განაცხადა ზაქარეიშვილმა.

კასპის რაიონის შემდეგ უწყების წარმომადგენლები გორისა და ქარელის რაიონებში ჩავლენ, 15 ოქტომბერს კი სახელმწიფო კომისიას კონკრეტულ წინადადებებს წარუდგენენ.

უნდა გადავიდეთ დაგროვებით საპენსიო სისტემაზე - ნოდარ ხადური

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ვაშინგტონში შეხვედრებს მართავს.

როგორც „მედიანიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან მეგ ლუნდსაგერთან გამართულ შეხვედრაზე ფინანსთა მინისტრმა და ქართულმა დელეგაციამ საქართველოში არსებული მდგომარეობა განიხილეს. ისაუბრეს იმ ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობაზე, რომელიც ქვეყნის განვითარებისა და რეფორმების გასაგრძელებლად არის საჭირო.

საქართველოში საპენსიო რეფორმისა და ფასიანი ქაღალდების განვითარების პერსპექტივაზე ისაუბრეს ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა და მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის კაპიტალური ბაზრებისა და არასაბანკო საფინანსო დაწესებულებების (საპენსიო ფონდების) დეპარტამენტის დირექტორმა, ლუკ შიქემ ვაშინგტონში გამართული შეხვედრის დროს.

„შედგა საინტერესო შეხვედრა. ფინანსთა სამინისტრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად აქტიურად მუშაობს საპენსიო რეფორმის საკითხებზე. სამწუხაროდ ქვეყანაში დღემდე არ გვაქვს ევროპული სტანდარტების საპენსიო სისტემა. ჩვენ უნდა გადავიდეთ დაგროვებით საპენსიო სისტემაზე და დღეს ვისაუბრეთ სწორედ იმაზე, თუ როგორ შეიძლება დაგვეხმაროს რეფორმის განხორციელებაში მსოფლიო ბანკი, როგორც რჩევენბით, ისე ადამიანური რესურსებით, რათა ეს პროცესი შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში დასრულდეს,” - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

დღესვე, ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა შეხვედრა გამართა USAID-ის საზოგადოებრივი და კერძო სექტორების პარტნიორობის დეპარტამენტის დირექტორთან ლორენს კარტერთან (ლაურენცე ჩარტერ).

შეხვედრის მთავარი თემა ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება და კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის საკითხები იყო.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მთვარია სახელმწიფოს მონაწილეობა ბიზნესის განვითარებაში იყოს დაბალანსებული, რათა დაცული იყოს, როგორც სახელმწიფოს, ისე ბიზნესის ინტერესები.

„ვფიქრობ, საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობის მიმართულებით მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებაა შესაძლებელი, განსაკუთრებით ენერგეტიკისა და ჯანდაცვის სფეროებში,” - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა.

დეკრეტული შვებულების დღეების რაოდენობა და ანაზღაურება გაიზარდა

დეკრეტული შვებულების დღეების და ანაზღაურების გაზრდის შესახებ საქართველოს პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი პირველი იანვრიდან ამოქმედდება. პარლამენტმა კანონპროექტი 11 ოქტომბერს მიიღო.

„შრომის კოდექსში” შესული ცვლილებების მიხედვით, ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის მიზეზით შვებულება 253 დღით, 477-დან 730 კალენდარულ დღემდე იზრდება. მათგან ანაზღაურება 126-ის ნაცვლად 183 დღეზე გაიცემა, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში თანხას ქალი 140 დღის ნაცვლად 200 კალენდარულ დღეზე მიიღებს.

ცვლილებების მიხედვით, ის დასაქმებული, რომელიც ერთ წლამდე ასაკის ბავშვს იშვილებს, 365 დღის მაგივრად 550 დღიანი შვებულებით ისარგებლებს. ანაზღაურება ამ შემთხვევაში 20 დღით იზრდება და 90 კალენდარულ დღეს შეეხება.

ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულების დროს გასაცემი თანხის ოდენობა 400 ლარით იზრდება და 1000 ლარს შეადგენს.

საკანონმდებლო ინიციატივისთვის 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 3 436 800 ლარით განსაზღვრული დამატებითი ხარჯი გამოიყო.

ოჯახში გაჩენილი ყოველი მესამე ბავშვი შესაძლოა 6 წლამდე სახელმწიფომ არჩინოს

ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძე ოჯახში ყოველი მესამე ბავშვის სახელმწიფოს მიერ დაფინანსების ინიციატივით გამოდის. აღნიშნული ინიციატივა ხუნდაძემ დღეს, კომიტეტის სხდომაზე 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას დააყენა.

„ოჯახში ყოველი მესამე ბავშვი 6 წლის ასაკამდე დაფინანსდეს ყოველთვიურად. ეს გარკვეულწილად გადაანგარიშებული გვაქვს და ამას ჭირდება დაახლოებით 5 მილიონი ლარი. ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა იქნება და ხელს შეუწყობს შობადობის გაზრდას,“ - ამბობს ხუნდაძე.

ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, პიველ რიგში იმ რეგიონები დაფინანსებას ფიქრობენ, სადაც შობადობის მნიშვნელოვანი კლებაა.

“ქვეყანაში არსებობს დემოგრაფიული პრობლემა და ამ კუთხით ორი უმნიშვნელოვანესი წინადადება წარდგენილია. ერთი, რომ სახელმწიფო აფინანსებს ფიზიოლოგიურ მშობიარობას 500 ლარის ოდენობით და საკეისრო კვეთას 800 ლარის ოდენობით. დღემდე უკვე 9 ათასზე მეტი მშობიარობაა დაფინანსებული. ასევე, რამოდენიმე დღის წინ იყო წარდგენილი ინიციატივა დეკრეტული შვებულებების ნაწილში შემწეობის გაზრდასა და დღეების რაოდენობის ზრდაზე,“ - აცხადებს ხუნდაძე.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის გიორგი თაბუაშვილის განცხადებით, აღნიშნული პროგრამის დასაფინანსებლად სამინისტრო მაქსიმალურად შეეცდება ფინანსური რესურსის მოძიებას.

ყოველი მეორე ქართველი მიიჩნევს, რომ ბავშვის დასჯის ძალადობრივი ფორმები უფრო ქმედითია

ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში ფართოდაა მიღებული. ყოველი მეორე ქართველი მიიჩნევს, რომ დასჯის ძალადობრივი ფორმები უფრო ქმედითია, ვიდრე არაძალადობრივი აღმზრდელობითი მეთოდები — ამის შესახებ ნათქვამია გაეროს ბავშვთა ფონდის დაკვეთით ჩატარებული კვლევის ანგარიშში.

ბავშვთა მიმართ ძალადობის კვლევის მიზანი იყო მოსახლეობის განწყობებისა და დამოკიდებულების კვლევა, კერძოდ ის, თუ როგორ აღიქვამს საზოგადოება ძალადობას; რამდენად ტოლერანტულია საზოგადოება ძალადობის ჩამდენ პირთა მიმართ და როგორია იმის ალბათობა, რომ ადამიანები შეატყობინებენ შესაბამის ორგანოებს ძალადობის შესახებ, თუ ასეთი ფაქტები მათთვის ცნობილი გახდა.

კვლევა ამერიკის საერთაშორისო განვითარების საგენტოს მხარდაჭერით მომზადდა.

ამომრჩეველთა სიის ფორმირებისთვის საკოორდინაციო კომისია შეიქმნა

საქართველოს მთავრობამ, 2014 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებასთან დაკავშირებით საკოორდინაციო კომისიის შექმნის დადგენილება მიიღო. კომისიას იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი უხელმძღვანელებს.

დადგენილების მიხედვით, საკოორდინაციო კომისიის საქმიანობაში ჩაერთვებიან მინისტრების პირველი მოადგილეები და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები. კომისიაში ასევე იმუშავებენ: თბილისის მერის მოადგილე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს თავმჯდომარე, შემოსავლების სამსახურის უფროსი და ცესკოს თავმჯდომარე.

კომისია უფლებამოსილია, დააკვირდეს სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობას ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების პროცესში, მათი თანამშრომლობის ხარისხს და ამომრჩეველთა მონაცემების დადგენის პროცესის მიმდინარეობას. აგრეთვე, შეიმუშაოს და წარუდგინოს რეკომენდაციები მთავრობას და ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების პროცესში მონაწილე სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს; შეიმუშაოს რეკომენდაციები სადავო საკითხებზე, რომლებიც წარმოიშობა ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების პროცესში განსახორციელებელ პრაქტიკულ სამუშაოებთან დაკავშირებით; ყოველი თვის ბოლოს მოახდინოს განვლილი პერიოდის განმავლობაში ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების პროცესის შეფასება და შეიმუშაოს მომავალი პრაქტიკული სამუშაოების გეგმა.

2014 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებისთვის საარჩევნო სიის ბიომეტრიული წესით ფორმირება იგეგმება, რაზედაც საარჩევნო კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებებიც შევიდა.

ცესკო-ს ტრენინგი ჟურნალისტებისთვის

რეგიონული მედიის წარმომადგენლებისათვის საარჩევნო საკითხებზე 3 დღიანი ტრენინგების კურსი ჩატარდა. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ჟურნალისტებისთვის სწავლება 8-10 ოქტომბერს გაიმართა.

კახეთის რეგიონის ჟურნალისტებისთვის ტრენინგი თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ“-ში მოეწყო. დედოფლისწყაროდან ტრენინგში ჟურნალისტები ინგა შიოლაშვილი და ილია მარტყოფლიშვილი მონაწილეობდნენ.

თბილისში გამართულ ტრენინგში მონაწილე ჟურნალისტები ეცნობიან საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეებს, განიხილავენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა მედიის როლი საარჩევნო პროცესში, მედიის უფლებრივი მდგომარეობა, საუბნო საარჩევნო კომისიის საქმიანობა და კენჭისყრის პროცედურები.

ტრენინგი, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს 30-მდე მედიასაშუალების წარმომადგენელი დაესწრო, ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ გახსნა და არჩევნებში მედიის ჩართულობის როლზე, ასევე საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობის აუცილებლობაზე ისაუბრა. მისი თქმით, ამგვარი ტრენინგები მედიას ყოველი არჩევნების წინ ჩაუტარდება.

ეკონომიკური თანამშრომლობა - კავკასიაში მშვიდობის გარანტი

ასეთი შეხვედრები ხელს შეუწყობს მოსახლეობის განათლების და ცნობიერების ამაღლებას...

გასულ თვეში ტელეკომპანია „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში ირაკლი კაკაბაძის მიერ გაკეთებულ განცხადებას აჟიოტაჟი მოჰყვა. მოსახლეობის ნაწილმა კაკაბაძის განცხადება ისე მიიღო, თითქოს, დედოფლისწყაროში ახალი სოფლის გაშენება იგეგმებოდა, სადაც სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს ჩაასახლებდნენ და მას „მშვიდობის სოფელს“ დაარქმევდნენ. სინამდვილეში, სურათი სულ სხვაგვარია. ვიდრე თემას განვავრცობდეთ, ჯერ კაკაბაძის თავდაპირველ განცხადებას შემოგთავაზებთ.

„მშვიდობა არ არსებობს, სოციალური სამართლიანობის გარეშე. მშვიდობის ძირი არის განვითარება. ძალიან კარგი შეხვედრა გვქონდა დედოფლისწყაროში, გამგებელთან, ბატონ ირაკლი შიოლაშვილთან, მოვილაპარაკეთ, რომ აქტიურად დავიწყოთ თანამშრომლობა იქაურ არასამთავრობო სექტორთან. დავიწყოთ ერთ-ერთი ასეთი მოდელი: „მშვიდობის სოფელი“, რაც ნიშნავს, რომ ყველა ეროვნების და რელიგიის ადამიანები ერთად თანამშრომლობენ იმისთვის, რომ ეკონომიკური განვითარება მოხდეს. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების პროცესი ერთობლივად დაიწყოს. განვითარების პროცესთან კი დაკავშირებულია მშვიდობის პროცესი, მშვიდობა არ იქნება, თუ არ იქნება სამართლიანობა,“ - აღნიშნავდა კაკაბაძე. რის შემდეგაც ტელეკომპანიაში დედოფლისწყაროდან რამდენიმე მოქალაქის სატელეფონო ზარი განხორციელდა.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ირაკლი კაკაბაძის ინიციატივა დედოფლისწყაროში ახალი სოფლის გაშენებას და ეთნიკური უმცირესობების ჩამოსახლებას სულაც არ ითვალისწინებს. იდეა მდგომარეობს შემდეგში, რომ დედოფლისწყაროში შეიქმნას ეკონომიკური სკოლა, რის ფონზეც დედოფლისწყარო ერთგვარ ცენტრად იქცევა სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდებისთვის.

იდეა მდგომარეობს იმაში, რომ დედოფლისწყაროში შეიქმნას ეკონომიკური სკოლა, რის ფონზეც დედოფლისწყარო ერთგვარ ცენრტად იქცევა სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდები სთვის...

სწორედ ამ პროექტის ფარგლებში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედოფლისწყაროს კვლევითი ცენტრის საკონფერენციო დარბაზში უკვე მეორედ გაიმართა ლექცია, რომელსაც საკმაოდ გამოცდილი ადამიანები უძღვებიან.

ამჯერად დედოფლისწყაროს მეუღლესთან ერთად ეწვია ამერიკის ყოფილი ელჩი გაეროში ჯონ მაგდონალდსი, რომელიც მსოფლიოში მშვიდობის გამავრცელებლად მიიჩნევა.

„ეკონომიკური სკოლის შექმნა რეგიონს დაეხმარება და გააერთიანებს აზერბაიჯანს, სომხეთს და საქართველოს, გარკვეული ევროკავშირის ტიპის ორგანიზაციაში. ჩვენი გრძელვადიანი გეგმა არის ის, რომ ეკონომიკური თანამშრომლობის შედეგად დავამყაროთ მშვიდობა კავკასიაში,“ - აღნიშნა ლექციის დაწყებისას ყოფილმა ელჩმა ჯონ მაგდონალდსმა და იქვე იხუმრა, რომ თბილისიდან დედოფლისწყაროამდე მგზავრობას 3 საათი მოანდომა და 18 ცენტნერი შეადგინა ხორბალშიც და ქერშიც. იყო პერიოდი, როცა 30-40 ცენტნერიც მიგვიღია,“ - აღნიშნავს ბენაშვილი.

ბენაშვილი მოსავლიანობის ზრდის მაჩვენებლის შემაფერხებელ მიზეზად თესლის უხარისხობას ასახელებს და აცხადებს, რომ სახელმწიფო ამ მიმართულებით პრობლემის აღმოსაფხვრელად მუშაობს.

გია ბენაშვილი სერიოზულ პრობლემად მიიჩნევს იმ გარემოებასაც, რომ მიწის ფართობების ნაწილი ამ დრომდე აღურიცხავია, რაც ბიუჯეტს შემოსავალს უკარგავს. მისივე თქმით, აუცილებელია მიწების კატეგორიებად დაყოფა ხარისხის მიხედვით.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროში მილიონნახევარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო ბარათი შემოვიდა

დამუშავებული მიწები 9 000 ჰექტარით გაიზარდა

„წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მილიონნახევარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო ბარათი შემოვიდა“ — ამის შესახებ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დედოფლისწყაროს რეგიონული სამსახურის წარმომადგენელმა გიორგი ბენაშვილმა ტელეკომპანია „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში, ჟურნალისტ ილია მარტყოფლიშილთან სტუმრობისას განაცხადა.

თოქ-შოუ „დედოფლისწყაროს საათში“ სტუმრობისას ბენაშვილმა შირაქის სავარგულებზე მიმდინარე წელს ალოობის დასრულებულ პროცესზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ხორბლის მოსავლიანობის მაჩვენებლის ზრდა მიმდინარე წელს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში არ დაფიქსირებულა, თუმცა დამუშავებული მიწის ნაკვეთების ფართობი გასულ წელთან შედარებით 9 000 ჰექტარით გაიზარდა.

„სოფლის მეურნეობის დარგი განადგურებულია. ერთ დროს დედოფლისწყაროში 18 000 ჰა მიწა ირწყვებოდა, დღეს ეს ყველაფერი მოისპო, ასევე სავალალო მდგომარეობაშია საძოვრები და ხელისუფლებას ნულიდან უწყებს ცალკეული დარგების განვითარება. მხოლოდ სასუქი 10-ჯერ მეტი შემოვიდა, ვიდრე გასულ წელს. სწორედ ამიტომაა, რომ გლეხმა წელს 9 000 ჰექტარზე მეტი მიწა დაამუშავა. თუმცა, სამწუხაროდ, ხორბლის საჰექტარო მოსავლიანობით ვერ დავიკვეხით. დედოფლისწყაროში 2000 წლის შემდეგ ახალი თესლი ინტენსიურად არ შემოსულა. სოფლის მეურნეობა ცოცხალი ორგანიზმია და, როდესაც თესლი არ იცვლება, ეს უარყოფითად აისახება მოსავლიანობის შედეგზე. ამიტომაც მოსავლიანობა დაბალი იყო

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

მოუარეთ საოჯახო ალბომებს



ძვირფასო მკითხველო, დღეს მე გთავაზობთ ერთ უნიკალურ ფოტოს, რომელიც ჰერეთის (ყოფილი სტალინის) ქუჩაზე მცხოვრებმა ლამარა ბერიაშვილ-გავალოვმა გადმომცა.

- 82 წლის ხანდაზმული ადამიანი ვარ. ეს სურათი, რაც თავი მახსოვს, პაპაჩემის და ბებიაჩემის (დედის მხრიდან) ივანე და სონია მოსესოვების ოჯახში ინახებოდა ქალაქ სიღნაღში. მათი გარდაცვალების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცი, კონკრეტულად ვინ არიან გამოსახული ამ სურათზე, მე მაინც შევინახე, დამენანა გადასაგდებად. ის კი ვიცი, რომ პაპაჩემის ახლობლები იყვნენ, ან დისშვილი, ან ძმისშვილი. ჩემი მდგომარეობის ადამიანს, ორი ვაჟის დამკარგავ დედას, დარჩენილი ერთადერთი ვაჟის, 6 შვილიშვილის და 5 შვილთაშვილის პატრონს, იქნებ არც უნდა მედარდებოდეს ეს. სურათი, მაგრამ... ხვალ-ზეგ მე აღარ ვიქნები, ვინღა შეინახავს, არადა, სურათი, რომელიც სამ საუკუნეს მოესწრო, ახლა მენანება ნაგავში გადასაგდებად. თქვენ მოგცემთ, როგორც საჭიროდ ჩათვლით, ისე მოიქეცითო,- მითხრა ქალბატონმა ლამარამ. სურათმა ძალიან დამაინტერესა. ვაჩვენე ის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებს, ისტორიკოსებს, რუსული ენის სპეციალისტებს, გამადიდებელი ლუპით დაწვრილებით დავათვალიერეთ სურათის ორივე მხარე. მართალია, კონკრეტული დასკბნების გამოტანა ვერ შევძელით, ამას სხვა ტექნოლოგიები და სპეციალისტები სჭირდება, მაგრამ ერთი კი ცხადად შგვიძლია ვთქვათ, რომ სურათი, სავარაუდოდ, მე- 19-ე საუკუნის ბოლო ოცწლეულშია გადაღებული და მასზე წარჩინებული მდგომარეობის, განსწავლულ-განათლებული ადამიანები არიან გამოსახულნი. ქალბატონს აშკარად სომხური იერი აქვს, მამაკაცი კი სლავიანური წარმოშობის არისტოკრატია. ერთმანეთთან დგომის მანერით, ისინი ახლადდანიშნულები უნდა იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ არცერთს ხელზე საქორწინო ბეჭედი არ უკეთია. მათი ჩაცმულობაც (მამაკაცს აცვია თეთრი პერანგი და უკეთია ღია ფერის ჰალსტუხი, მუქი ფერის შარვალ-კოსტუმითა და ჟილეტით, ხოლო ქალბატონის ორიგინალურად შეკერილი კაბა დამშვენებულია ძვირფასი გულსაბნევით და ძეწკვით, ხელში უჭირავს მარაო არა როგორც სამშვენისი, არამედ როგორც ნივთი, რომელიც მისთვის ყოველდღიური მოხმარების საგანია) აშკარად მიგვანიშნებს, რომ ისინი მღალი რანგის ადამიანები არიან, ახლა ყველაზე საინტერსო ნაწილი ფოტოსურათისა, რომლის ორივე მხარეს აღბეჭდილია ოქროს მედლები. (ისინი ოქროსი რომ არის, წარწერითაა დამოწმებული). მედლებზე წარწერები ინგლისურადაა, ხოლო დანარჩენი- რუსულით, რომელსაც შერჩენილი აქვს გვიანდელი სლავიანური დამწერლობის ნიშნებიც. ერთ მედალს აწერია: „ესპანეთის მეფე ალფონსო XII“ და ამოტვიფრულია თვით მეფის პორტრეტი. შემდეგ აწერია: „მადრიდი, აკადემიური ინდუსტრია,“ ერთ-ერთზე კი იკითხება:“ სოფლის მეურნეობის ინდუსტრია „ბელ-არტი.“ ერთი მედალი სიძველის გამო ვერ ამოვიკითხეთ. სურათის პირველ და მეორე გვერდებზეც ნათლად იკითხება:“ასტრახანი, მისი უდიდებულესობა სპარსეთის შაჰის კარი, ს. კლიმაშევსკაიას ფოტოგრაფია, პოლიცეისკაიას ქუჩა, ხიდთან, საკუთარი სახლი, ტელეფონი N 195, ნეგატივი ინახება, თქვენი მონა-მოჩილი“. ფოტოგრაფის გვარის დაბოლოების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი პოლონური წარმოშობის ქალბატონია. ყველაფერი ერთად კი გვაფიქრებინებს, რომ სურათზე გამოსახული ადამიანები მაღალი თანამდებობის კარზე დაახლოებულუ პირები არიან და, ამავდროულად, ახლობლები ქალბატონი ლამარას პაპა- ბებიისა, რადგან მაშინ სურათის გადაღება ასე საყოველთაოდ შესაძლებელი არ იყო და არც მას ვინმე შორეულს არ ჩუქნიდნენ.

ახლა ყველაზე მთავარი, რასაც ამ უცნობი სურათის გაზეთში გამოქვეყნება ემსახურება: თავის დროზე ამ ადამიანებს სურათზე რომ მიენიშნებინათ თავიანთი და იმ ადამიანების ვინაობა, ვისაც ჩუქნიდნენ და დაეთარიღებინათ იგი, არც ოჯახისთვის გახდებოდა „ზედმეტი“ და არც ჩვენ მოგვიწევდა „მკითხაობა“. ამიტომ, მინდა, მოგიწოდოთ, რათა ყურადღებით მოვეპყრათ ჩვენს საოჯახო ალბომებს. ვიდრე დროა, სურათებზე მივანიშნოთ ვინ, როდის და რასთან დაკავშირებით არის გამოსახული. არავინ იცის, წლების და ათწლეულის შემდეგ რა ინფორმაციის შემცველი იქნება ისინი მაშინდელი საზოგადოებისთვის. არ ფიქრობთ რამდენად დასანანია ქალბატონი ლამარასთვის და მისი ოჯახის წევრებისთვის, რომ არაფერი იციან ისეთი სურათის შესახებ, რომელიც აშკარად მათი წარჩინებული წარმომავლობის ერთი უტყუარი ფაქტია!

ანალოგიური სურათი, რომელიც ასევე სქელი მუყაოს ფირფიტაზეა დაკრული, ზედ რამდენიმე მედალია გამოსახული და ორ უცნობ ქალბატონს ეკუთვნის, რომლებიც ჩიხტა-კოპით დამშვენებულები ამაყად შემოგვყურებენ ათეული წლების წინანდელი ეპოქიდან, მხარეთმცოდნეობის მუზეუმშიც ინახება და არავინ იცის, ვინ არიან ისინი ან როდის გადაიღეს ის. მეც ამ სურათსაც მუზეუმს ჩავაბარებ, მეც ნამდვილად მენანება, მაკულატურად იქცეს იგი. იქნებ მიეცეს საშუალება მუზეუმს, სურათების „ხნოვანების“ დასადგენად შესაბამის სპეციალისტებს სთხოვონ ანალიზის გაკეთება.

ჩვენ კი ვაგრძელებთ რუბრიკას-„ ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“. მოგვაწოდეთ სურათები ან ინფორმაციები თქვენთვის მნიშვნელოვანი დღეების და მოვლენების შესახებ. ადმიანებს მოსწონთ სხვის ბიოგრაფიაში „ხეტიალი“.

ნარა გორაშვილი

მართლმადიდებელი ეკლესიის გაძლიერების მიზნით, 6 ახალი ეპარქია ჩამოყალიბდა

წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, 6 ახალი ეპარქია შეიქმნა და რამდენიმე ეპისკოპოსი პენსიაზე გავიდა. როგორც დუშეთისა და წილკანის მიტროპოლიტმა მეუფე ზოსიმემ (შიოშვილი) საპატრიარქოში დღეს გამართული სინოდის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა, პენსიაზე გასულ სასულიერო პირებს შორის თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მიტროპოლიტი თადეოზი და მარგველი მიტროპოლიტი ვახტანგი არიან. მისივე თქმით, 7 ახალი მღვდელმთავარი დაინიშნა.

“საქართველოს ეკლესიის გაძლიერების მიზნით, 6 ახალი ეპარქია ჩამოყალიბდა და არსებული ეპარქიების გაყოფა მოხდა. აირჩიეს 7 ახალი მღვდელმთავარი, რომელთა ვინაობასაც ჯერ ვერ ვიტყვი. 2 მღვდელმთავარი - მეუფე ვახტანგი და მეუფე თადეოზი პენსიაზე გავიდნენ,”- განაცხადა მეუფე ზოსიმემ (შიოშვილი).

საპატრიარქოში დღეს გამართული წმინდა სინოდის სხდომის სხვა გადაწყვეტილებების და განხილული საკითხების თაობაზე ინფორმაცია განჩინების სახით გავრცელდება.

პირველი ლეიბორისტი დედოფლისწყაროში

27 ოქტომბერს საქართველოში დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით „ლეიბორისტული (შრომის) პარტიის“ უცვლელი ლიდერი, პრეზიდენტობის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს 11 ოქტომბერს ეწვია.

ნათელაშვილმა შეხვედრა დილის საათებში თავდაპირველად საზღვრისპირა სოფლების მაცხოვრებლებთან გამართა. ის ქედების ზონის ამომრჩეველს შეხვდა, საიდანაც სოფელ სამრეკლოში გადაინაცვლა. ცნობილია, რომ ამ სოფლებში ნათელაშვილს საკმაო მხარდამჭერი მუდმივად ჰყავდა.

დღის 13 საათისთვის ქალაქ დედოფლისწყაროში დაგეგმილი შეხვედრა 14 საათამდე არ დაწყებულა. შალვა ნათელაშვილი ქალაქის მაცხოვრებლებს აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე შეხვდა და საკუთარი საარჩევნო პროგრამა წარუდგინა. შეხვედრა საკმაოდ ხანმოკლე იყო.

პრეზიდენტობის კანდიდატის პათოსი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ისეთივე იყო, როგორიც წინა წლებში. მან გააკრიტიკა ჯანდაცვაში არსებული სიტუაცია: **“დაზღვევა არის ბანდიტების სფერო, სადაზღვევო კომპანიის მიერ მე დაფინანსებული ერთი მოქალაქეც ვერ ვნახე, მათგან გადაგდებული და მოტყუებული კი უამრავი- მოქალაქეებიც, ექთნებიც, ექიმებიც და პაციენტებიც... მე ვპირდები მთელ საქართველოს, რომ ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში არავის მოუწევს სახლის ბანკში ჩადება იმისთვის, რომ ოჯახის წევრს ოპერაცია გაუკეთოს”**- განაცხადა ნათელაშვილმა და დასძინა, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში ის ბიუჯეტს ხალხისკენ შემოაბრუნებს. მანამდე კი თვითონაც საკმაოდ ღარიბი ნომერ პირველი მშრომელი წინასაარჩევნო კამპანიას უსახსრობის გამო ბუკლეტების გარეშე აწარმოებს, თუმცა, თუ მისივე სიტყვებს დავეყრდნობით, მას **“არ სჭირდება არც ბუკლეტი და არც ბილბორდი, რადგან თავადაა მოსიარულე სარეკლამო ბილბორდი”.** მას მოსახლეობასთან მისვლა არ ეზარება და წინასაარჩევნო პლატფორმას პირადად აცნობს.: ნეიტრალიტეტი საგარეო პოლიტიკაში და რუსული ბაზრის გახსნა-ეს არის ის პროექტი, რომლითაც პირველი ლეიბორისტი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას გეგმავს. მშრომელთა პარტია ამომრჩეველს უფასო ჯანდაცვას და განათლებას პირდება, გარდა ამისა, პროგრამის პრიორიტეტს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შემუშავება, უპრეცედენტო კრედიტები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია წარმოადგენს.

„მდიდარს წავართმევთ, ღარიბს დავუბრუნებთ!“-ამჯერად თავის ძველ მესიჯს არა, მაგრამ სლოგანს ცვლის, რომელიც ასე ჟღერს: **„ერთხელ მაინც მენდეთ!“** თუმცა, მოახერხებს თუ არა სტაჟიანი პრეზიდენტობის კანდიდატი ხალხის ნდობის მანდატის მოპოვებას, ამას არჩევნები გვიჩვენებს.

„ყურძნის რეალიზაციიდან კახეთის მოსახლეობამ 100 მილიონ ლარზე მეტი მიიღო“

„კახეთის მოსახლეობამ, 5 ოქტომბრის მდგომარეობით, ყურძნის რეალიზაციის შედეგად შემოსავლის სახით 100 მილიონ ლარზე მეტი მიიღო. საშუალოდ ბარდებოდა 5 ტონა ყურძენი და ოჯახები 7000 ლარამდე იღებდნენ“, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ასოციაცია „ქართული ღვინის“ აღმასრულებელმა დირექტორმა თინა კეზელმა განუცხადა.

მისი თქმით, წელს, რთველში პირდაპირი დახმარება დაახლოებით 16 885-მა ოჯახმა მიიღო.

როგორც თინა კეზელმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, წელს, ყურძნის დაბინავების პროცესი მაქსიმალურად კარგად წარიმართა და რეგიონებიდან შეფერხებების ან უკმაყოფილების შესახებ ინფორმაცია არ მიუღია.

„ძალიან კმაყოფილები ვართ. ბევრი წელია, ასეთი რთველი არ ყოფილა. რამდენადაც, ასოციაცია „ქართული ღვინო“ ყველა წამყვან კომპანიას აერთიანებს, შემიძლია ამ კომპანიების სახელით გითხრათ, რომ ყველა ძალიან კმაყოფილია, არის მაქსიმალური წესრიგი, რაც, კარგა ხანია, არ ახსოვთ. ვაუჩერები კომპანიების სუბსიდირების პროგრამამ ჩაანაცვლა და შესაბამისად, გლეხს აღარ ჰქონდა იმის შიში, მიიღებდა თუ არა ვაუჩერს. მთლიანობაში, ეს პროცესში ძალიან დიდ გაუგებრობას იწვევდა, რაც თავიდან ავიცილეთ. გლეხებისთვისაც გასაგები გახდა, რომ მხოლოდ ხარისხიანი ყურძენი უნდა ჩააბარონ და მათ მოსავალს აუცილებლად ჩაიბარებენ. ფასიც დარეგულირდა და შედეგად მივიღეთ ნორმალური ბაზარი, რომელიც გახდა თვითრეგულირებადი. ვფიქრობ, ეს არის მაქსიმალურად კარგი შედეგი, რისი მიღებაც შეგვეძლო და ამიტომაც, გლეხებიც კმაყოფილნი არიან. რომელიმე რეგიონიდან რაიმე შეფერხების შესახებ ინფორმაცია არ გვქონია. პირიქით, ყოველთვის იყო კმაყოფილება, როგორც კომპანიების, ისე გლეხების მხრიდან“, - განაცხადა თინა კეზელმა.

მისივე თქმით, რთველის სეზონის უპრობლემოდ ჩატარება საექსპორტო ბაზრების რაოდენობის ზრდამ გამოიწვია.

„წინა რთველი იყო ერთ-ერთი ყველაზე მახინჯი. რასაკვირველია, რუსეთის ბაზრის გახსნამ მოთხოვნაც გაზარდა ყურძენზე, მაგრამ რთველის ნორმალური, ცივილიზებული ფორმით ჩატარების მოთხოვნა, როდესაც პროცესი თანაბრად მისაღები იქნებოდა გლეხებისა და კომპანიებისთვის, მუდმივად იდგა. ეს მოთხოვნა უშუალო კავშირში არ არის რუსეთის ბაზართან, თუმცა ზოგადად საექსპორტო ბაზრების ზრდას უკავშირდება, რადგან დარგი ნელ-ნელა ფეხზე დგება. რასაკვირველია, პროცესში კორექტივები შესატანი იქნება, რათა საბოლოოდ იდეალურ ფორმასთან მივიდეთ, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ წელს ამგვარ მდგომარეობას თითქმის მივუახლოვდით“, - განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ თინა კეზელმა.

ქართული ხილი რუსულ ბაზარზე ბრუნდება

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი რუსეთის ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კონტროლის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელს სერგეი დანკვერტს შეხვდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, „როსსელხოზნადზორის“ ხელმძღვანელმა მიიღო გადაწყვეტილება, შვიდწლიანი პაუზის შემდეგ განახლდეს საქართველოდან მცენარეული წარმოშობის პროდუქციის - თხილის, ციტრუსების, ყურძნის, ვაშლის, მსხლის, კომშის რუსეთში გატანა.

ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა ხანგრძლივი მოლაპარაკებების პროცესი. მიმდინარე წლის მაისში მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებათა მეორე რაუნდზე გადაწყდა “როსსელხოზნადზორის” წარმომადგენელთა საქართველოში ვიზიტი, რომელიც 15-21 აგვისტოს შედგა. რუსი სპეციალისტები ფიტოსანიტარიული სერტიფიცირების სისტემას გაეცნენ; გაიმართა სამუშაო შეხვედრები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში; საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დაათვალიერეს ხილის, ციტრუსისა და თხილის პირველადი გადამუშავების, დახარისხებისა და შესანახი საწარმოები, სასათბურე მეურნეობები; გაეცნენ საექსპორტო პარტიების ფორმირების და ფიტოსანიტარიული სერტიფიცირების პროცესის ტექნიკურ დეტალებს.

“სწორედ ამ ვიზიტის შემდეგ გახდა შესაძლებელი ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნება” - აღნიშნულია რუსეთის ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კონტროლის ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელის სერგეი დანკვერტის წერილში.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში აღნიშნავენ, რომ 2013 წლის 28 ივნისიდან რუსეთში უკვე დაშვებულია დაბალი რისკის შემცველი პროდუქცია (ჩაი, დაფნა, ჩირი და ა. შ.), 14 ოქტომბრიდან კი რუსეთში ქართული თხილის, ციტრუსის, ყურძნის, ვაშლის, მსხლისა და კომშის შეტანა გახდება შესაძლებელი.

ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ...

- „ადამიანის ცხოვრებაში არსებობს დღეები, რომლებიც არ მეორდება და თავისი შთაბეჭდილებებით, ასაკისა და დროის მიუხედავად, ლამაზ მოგონებად რჩება“.

ეს სიტყვები 5 ოქტომბერს, დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენიდან გაისმა და ვეთანხმებით. დიახ, ლამაზ მოგონებად და დაუვიწყარ დღედ დარჩება დარბაზში შეკრებილი იმ უამრავი ბავშვისთვის, რომელიც აპლოდისმენტებს არ იშურებდა თითქმის 3 საათის განმავლობაში.

ღონისძიებამ, რომლის იდეაც კულტურისა და სპორტის თანამშრომელს და საბავშვო სტუდია „არლეკინოს“ დამაარსებელს- ნონა ჯიბღაშვილს ეკუთვნოდა, ხოლო მის განხორციელებაში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, კულტურის, განათლებისა და სპორტის სამსახური დაეხმარა, სრული ანშლაგით ჩაიარა. ამ დღეს გადაწყდა, რომ ამიერიდან ოქტომბრის ყოველი პირველი შაბათი დედოფლისწყაროელებისათვის იქნება ცოდნისა და წარმატების დღესასწაული და ის ადამიანები, ვინც ერთი წლის მანძილზე ყველაზე მეტად წარმოაჩენენ თავს კულტურისა და განათლების სფეროში, ამ დღით გამოვლინდებიან.

უკვე თითქმის თხუთმეტი წელია სტუდია “არლეკინოს” ნონა ჯიბღაშვილი ხელმძღვანელობს და მის გამოზრდილ ბავშვებს ცხოვრებაში ეს წლები ვარდისფერ ხაზად მიჰყვება, შემდეგ ისინი ამ ხაზს სხვა ფერებსაც უმატებენ და ოცნებებს რეალობად აქცევენ.

„არლეკინოს“ ბავშვებმა გახსნეს ღონისძიება, შეასრულეს რამოდენიმე ლამაზი სიმღერა და ცეკვა, შემდეგ კი მოიწვიეს ჩამოსული სტუმრები: გრან- პრის მფლობელი კომპანია „ნეევერლენდი“ და მისი დამუძნებელი, საბავშვო ტელევიზია „ენკი ბენკის“ დირექტორი, მსახიობი- ლევან ჯიბღაშვილი თავის ზღაპრულ თოჯინებთან და მულტფილმების გმირებთან ერთად. ეს ის სცენაა, სადაც ლევანი გაიზარდა და მისი სამსახიობო ნიჭის გამოვლინებებიც აქედან დაიწყო, გავიდა წლები... დღეს ლევანი ჩვენი რაიონის ღირსეული შვილია და უკვე დიდი ხანია, მთელი საქართველო სცნობს, როგორც წარმატებულ მსახიობს. მათთან ერთად შოუ პროგრამაში მონაწილეობდნენ ევროვიზიის გამარჯვებული ბავშვები და ჯგუფები: Funkids”, „Lizi pop“. ირგვლივ ოვაციები არ ცხრებოდა. ზღაპრული თოჯინების სცენაზე ყოფნამ, მარიამ კახელიშვილის შესრულებულმა სიმღერებმა, მულტფილმების გმირების გამოჩენამ თუ ყველაფერმა ერთად გასაოცარი შთაბეჭდილებები მოახდინა დარბაზში მყოფ პატარებზე, ისინი თითქმის ვერ ჩერდებოდნენ სკამებზე და მთელი შოუს განმავლობაში მუსიკის რიტმს აყოლილები ადევნებდნენ თვალს სცენას და გახალისებულებს, არც კი უგრძვნიათ დაღლა.

საღამოს ორგანიზატორებმა, იმის გამო, რომ 5 ოქტომბერი მასწავლებლის დღე იყო, გადაწყვიტეს წლის საუკეთესო პედაგოგები და სკოლების წარჩინებული კურსდამთავრებულები, რომლებმაც 100% დაფინანსება მიიღეს უმაღლეს სასწავლებლებში, წარედგინათ აუდიტორიისთვის.

წლის საუკეთესო პედაგოგებად დასახელებული იყვნენ: ქ. დედოფლისწყაროს წყაროს N1 საჯარო სკოლა- გულანშარ იაკობიშვილი, N2 საჯარო სკოლა- მარინა შანშიაშვილი, ხორნაბუჯის საჯარო სკოლა- თამარ ყოჩიაშვილი, ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლა- მაია მაძღარაშვილი, არბოშიკის საჯაარო სკოლა- დარეჯან ბაღაშვილი, ოზაანის საჯარო სკოლა- ია თევზაძე, გამარჯვების საჯარო სკოლა- მაია პოპიაშვილი, ზემო ქედის N1 საჯარო სკოლა- ქეთევან ბუბუნაური, ზემო ქედის N2 საჯარო სკოლა- ეთერ კედელაშვილი, არხილოსკალოს საჯარო სკოლა- სოფიკო კობაიძე, ქვემო ქედის საჯარო სკოლა- ლელა დარძული, სამთაწყაროს საჯარო სკოლა- რიტა ოთარაშვილი, ფიროსმანის საჯარო სკოლა- ემზარ ჯაიანი, საბათლოს საჯარო სკოლა- ნუნუ ქადაგიშვილი.

პედაგოგთა წარდგინების შემდეგ სცენაზე წარჩინებული სტუდენტები მოიწვიეს: N1 საჯარო სკოლის მოსწავლეები: გიორგი ყოჩიაშვილი, გიორგი აგლაძე, პაატა კიკილაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, სოსო ჩუთლაშვილი. სამრეკლოს საჯარო სკოლა- იოსებ ლეკაშვილი, ზემო ქედის N1საჯარო სკოლა- მარიამ მკერვალიძე, N2 საჯარო სკოლა- ლაშა ბაშარული.

ასევე, წლის წარჩინებულებად დასახელდნენ “ეტალონში” გამარჯვებული ორი დედოფლისწყაროელი გოგონა: ანა ბულაშვილი და მარიამ მკერვალიძე, ”ნიჭიერში” გამარჯვებული - დავით მარაული. წლის წარმატებული ცეკვის ანსამბლად აღიარებულ იქნა- ალექსანდრე გაბრიელაშვილის ანსამბლი “შირაქი”, წლის სიახლედ- ცარო მარტიაშვილის თეატრი “ბერიკები”და წლის წარმატებულ ჯგუფად- სასწავლო ცენტრის დირექტორის ნუნუ ცაკაშვილის “ინტელექტკლუბი”.

ღონისძიების დასასრულს, დარბაზში მსხდომნი დალოცა და უფლის წყალობა უსურვა მეუფე მელქისედეკმა.

ასე დასრულდა პატარებისთვის კიდევ ერთი ბედნიერი და ლამაზი დღე ჩვენი ქალაქის მატიანეში.

ელზა ხარაშვილი

ლია ხერილი მწერალს და პუბლიცისტს, ჩვენს თანამემამულეს - ჯემალ მეხრიშვილს!

მას მერე, რაც გადაწყდა 10 ოქტომბერს თქვენი შემოქმედებითი საღამოს ჩატარება, ვღელავდი და მოუთმენლად ველოდი ათეული წლებით განშორებულ ძველ თანამშრომელთან შეხვედრას. ეს შეხვედრა უკვე წარსულია, რომელმაც ორივე მხარე - სტუმარიც და მასპინძელიც სითბოთი და სიყვარულით აგვავსო. ახლა უკვე ჩავლილი დღის შთაბეჭდილებებმა და შენზე ფიქრმა არ მომასვენა. როგორი თავმდაბალი და ენამოსწრებულიც იყავ, ისეთი დარჩენილხარ. მაგრამ, ვერ მოგინონებ ამ თავმდაბლობის გამო საკუთარ ნაღვაწს რომ ამცირებ. „მწერლუკაო“ რამდენჯერმე უწოდე საკუთარ თავს შენს სამადლობელო სიტყვაში. გირჩევ, ეს არასოდეს გაიმეორო! შენ „მწერლუკა“ კი არა, წელგამართული მწერალი ხარ რომელმაც მხრებგაშლილმა უნდა იარო შენს საყვარელ მიწაზე. თვალებში თამამად შეხედო თითოეულ ქართველს, ირწმუნო საკუთარი თავი და ამ რწმენით ამაღლებულმა მეტი და მეტი შემოქმედებითი პროდუქტი აჩუქო შენს გულშემატკივრებსა და ერთგულ მკითხველებს.

მუდამ გახსოვდეს, არასოდეს იყავ იმათზე ნაკლები (პირიქით, მეტიც) ვინც მედროვეობის გამო წამოყელყელავებულია და საზოგადოებას წამდაუწუმ თვალში ეჩხირება. შენ სწორედ შენი თავმდაბლობითა და პატიოსნებით ფასდები. კიდევ ერთხელ გეტყვი, რომ გვიყვარხარ ჯერ ერთი იმიტომ, რომ ნამდვილად იმსახურებ ამ სიყვარულს, მეორეც იმიტომ, რომ, ხომ გაგიგონია, „ყვავს თავისი ბახალა ყველას ურჩევნიაო“. შენც ქვეყანას გვირჩევნიხარ, რადგან ჩვენი ხარ!

პატივისცემით,
ნაირა გორაშვილი



ძვირფასო მკითხველო, 10 ოქტომბერს გამართული ჯემალ მეხრიშვილის შემოქმედებითი საღამოს შესახებ ვრცელ სტატიას შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

დმანისში მცხოვრები უძველესი ადამიანები კბილის საწმენდით სარგებლობდნენ?!

დმანისში მცხოვრები უძველესი ადამიანები კბილის საწმენდით რეგულარულად სარგებლობდნენ. ინფორმაციას ამის შესახებ ამერიკული გამოცემა PNAS (“მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე”) ავრცელებს, რომელიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის, დავით ლორთქიფანიძის სტატიას აქვეყნებს.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, 20 წლის წინ საქართველოში, დმანისთან ახლოს პალეონთოლოგების მიერ ნაპოვნი ადრეული ადამიანის ნიმუშებზე კვლევის შედეგად, აღმოჩნდა, რომ კბილებსა და ყბის ძვლებზე მათ უამრავი პარალელური და ღრმა ნაკაწრი ჰქონდათ, რომელიც, სავარაუდოდ, კბილის საწმენდის არასწორად გამოყენებას უკავშირდება.

ყოველივე ეს აღმოჩენის ავტორებს აძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ დმანისის უძველესი მაცხოვრებლები კბილის საწმენდებს ამზადებდნენ და იყენებდნენ.

14 ოქტომბერს სვეტიცხოვლობა აღინიშნება

ტროპარი: კათოლიკე ეკლესიისა დღესასწაული, სუეტისა წმიდისა და კუართისა საუფლოჲსა: ნათელი შემოჰკრებს კიდეთა სოფლისათა და სანოვაგედ წმიდად მიჰრონსა გვიწყაროებს, რომელნი წმიდასა ღმრთისმშობელსა და მისგან შობილსა ქრისტესა თაყუანის-ვსცემთ, რაჲთა ვპოვოთ ცხოვრება სულთა ჩუენთა.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 14 ოქტომბერს „კვართისა საუფლოჲსა და სვეტისა ღმრთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა"-ს დღესასწაულს აღნიშნავს.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წ.) შემდეგ მცხეთობის დღესასწაული აღდგა და ოფიციალურ უქმე დღედ გამოცხადდა. ტრადიციულად ამ დღეს წირვას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სვეტიცხოველში აღავლენს, ხოლო შემდეგ იმართება სახალხო სეირნობა მცხეთის ქუჩებში, საესტრადო და ხალხური შემოქმედების კონცერტები, გამოფენები, სპორტული შეჯიბრებები.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამ დღეს ასევე წმიდა მოციქულთა სწორის მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას (IV); წმიდა სიდონიასა და აბიათარის (+IV) ხსენებასაც აღნიშნავს.

გადმოცემის თანახმად, უფლის ჯვარცმის შემდეგ მისი კვართი წილად მცხეთაში მცხოვრებ ებრაელებს — ელიოზსა და ლონგინოზს ერგოთ, რომლებმაც სიწმინდე მცხეთაში ჩამოაბრძანეს. ელიოზის დამ, სიდონიამ კი უფლის კვართი გულში ჩაიკრა და სული განუტევა. იგი სიწმინდესთან ერთად დაკრძალეს. სიდონიას საფლავზე კი კვიპაროსის ხე ამოვიდა.

მე-4 საუკუნეში წმიდა მეფე მირიანის ბრძანებით ეკლესიის ასაშენებლად ხუროებს ხე მოუჭრიათ, მისგან დაუმზადებიათ შვიდი სვეტი. კვიპაროსის ხისგან დამზადებული ერთ-ერთი სვეტი კი მშენებლებს არ დამორჩილება. იგი მხოლოდ წმ. ნინოს ლოცვა-ვედრების შემდეგ აღმართულა იმ ადგილზე, სადაც ქრისტეს კვართი იყო დაკრძალული. ამ ადგილას ხის პატარა ზომის ეკლესია აიგო. მე-5 საუკუნის ბოლოს ვახტანგ გორგასალმა მის ადგილას უფრო დიდი ზომის სამნავიანი ბაზილიკური ტიპის ეკლესიის მშენებლობა დაიწყო. ხოლო უკვე გორგასლისეული სვეტიცხოვლის აღდგენა-მშენებლობას ხელი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმიდა მელქისედეკ პირველმა მოჰკიდა. მისი ბრძანებით მე — 11 ს-ის დასაწყისში ხუროთმოძღვარმა არსაკიძემ ძველი ბაზილიკის ნაგებობა ჯვარ-გუმბათოვან ტაძრად გადააკეთა. სწორედ არსაკიძის ეს გენიალური ქმნილებაა ჩვენამდე მოღწეული.

როგორც წმიდა კვიპრიანე კართაგენელი ბრძანებს, "თავისი კვართის საიდუმლოთი უფალმა ეკლესიის ერთიანობაზე მიგვანიშნა" და "შეუძლებელია, ქრისტეს სამოსი ჰქონდეს იმას, ვინც ქრისტეს ეკლესიას არღვევს". ამიტომაც იყო, ქართველები ასე რომ უფრთხილდებოდნენ ეკლესიის ერთიანობას, ამიტომაც იყო, რომ ეპისკოპოსი აუცილებლად სვეტიცხოველში უნდა კურთხეულიყო.

ერთხელ წმიდა პატრიარქმა ნიკოლოზ გულაბერისძემ „ზამთრის სასტიკებისა" და დედოფლის უძილების გამო მროველი ეპისკოპოსი ტიმოთე რუისის საყდარში აკურთხა ეპისკოპოსად. იმავე ღამეს სვეტიცხოველი "სახედ მოხუცებული ბერი კაცისა" ტაძრის ქადაგს ეჩვენა და უბრძანა, პატრიარქი გაეფრთხილებინა, რომ მას აღარასოდეს ეკურთხებინა ეპისკოპოსი სადმე სხვაგან, გარეშე სვეტიცხოვლის ტაძრისა. ეს უმეცრებით ჰყო, ამიტომ შევუნდობ, მაგრამ სხვა დროს აღარ ვაპატიებ „შეურაცხყოფას საყდრისა ჩემისაო", — უბრძანებია უფალს.

უფლის კვართის ამბავი

ძველი აღთქმის მღვდელს ეფოდთან, წამოსასხამსა და სხვა შემოსამოსელთან ერთად აუცილებლად ნაქსოვი კვართიც უნდა სცმოდა. იცოდა ეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა და ამიტომაც ყრმა იესუს, მომავალ „მღვდელმოძღვარს წესსა ზედა მელქისედეკისასა", კვართი მოუქსოვა. „ხოლო კვართი იგი... იყო უკერველ, ზეით გამოქსოილ ყოვლად". გადიოდა ხანი, „წარემატებოდა სიბრძნითა და ჰასაკითა და მადლითა" იესუ და სასწაულებრივად იზრდებოდა ღვთისმშობლის მოქსოვილი კვართიც, რომელსაცა „ნეტარებით შეეცვა ნათელთა ყოველთა მფლობელი გვამი წმიდა ცეცხლისა მის ღვთაებისა". თეოდორე ზიგაბენის მიხედვით, კვართი სახელოებიანი ყოფილა. მოკლესახელოიანი კვართია გამოსახული ბაგრატიონთა გერბზეც. ხოლო XVII საუკუნეში იერუსალიმში გავრცელებული ერთი გადმოცემის თანახმად, უფლის კვართი ლაჟვარდისფერი ყოფილა, მანტიის მსგავსი, უსახელო, განიერი და გრძელი (საუბარი იოანიკე ბერძენისა ივ.გრამიტინთან), მაგრამ რისგან იყო იგი მოქსოვილი, ეს უცნობია. ერთი კია - ამ ნეტარმა შესამოსელმა, როგორც ღრუბელმა შეინოვა ოფლი, სისხლი და ცრემლი, რომელიც კაცთა მოდგმის ხსნისთვის დაღვარა მაცხოვარმა.

იერუსალიმში იესოს ჯვარცმისას საქართველოდანაც ჩავიდნენ ურიები - ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. ელიოზის დედა ელი მღვდელმთავრის ტომიდან იყო. სწორედ მან გააფრთხილა ვაჟები, რომ უფლის სისხლის დათხევაში მონაწილეობა არ მიეღოთ. ამასვე ევედრებოდა ელიოზს და სიდონია. მაცხოვრის ჯვარცმისას ლურსმნების დაჭედების ხმა თურმე მცხეთაში მოესმა ელიოზის დედას. წამოიძახებია: „მშვიდობით, მეფობაო ისრაელთაო, რამეთუ უგუნურებით მოჰკალთ უფალი და მაცხოვარი ყოველთა!" - და მწუხარებისაგან იქვე დაულევია სული.

ეტყობა, მაცხოვრის ჯვარცმისას ელიოზი ძალზე აქტიურობდა. როცა უფლის სამოსელი განიყვეს და კვართზე წილი იყარეს, იგი სწორედ მას შეხვდა. უფლის კვართი ელიოზმა მცხეთაში წამოიღო. სიდონია მას ტირილით შეგებებია მცხეთის კარიბჭესთან, ჩაუკრავს მკერდში „ყოველთა სასურველი კვართი მხსნელისა" და მიუძღვნია „თავისი დედის ძილით". ეს ამბავი მთელ მცხეთას მოედო. მიცვალებული მეფე ადერკს უნახავს და კვართი მოსწონებია. ბევრს ცდილან, მიცვალებულისთვის კვართი გამოერთმიათ, მაგრამ ამაოდ და ბოლოს კვართითვე დაუკრძალიათ ლიბანის ნაძვებთან.

რამდენიმე წლის შემდეგ ადერკის შვილიშვილს, მეფე არმაზელს მოუნდომებია სიდონიას საფლავის გათხრა და კვართის პოვნა, მაგრამ ამის გამო ღვთისგან სასჯელი მიუღია - უეცრად დაბრმავებულა.

აი, ამგვარად მოხვდა უფლის კვართი საქართველოში. სახიერ უფალს წინასწარვე განეგო ჩვენი ქვეყნის „ერად საზეპუროდ შემზადებაი" და ვინაიდან ღვთისმშობლის წილხვედრნიც ვიყავით, ამისათვის უფრო ღირს იქმნა იბერია „ამას საშინელსა მადლსა". როგორც წმინდა ნიკოლოზ გულაბერისძე ბრძანებს, „ამისთვისცა უკვე წინასწარვე წარმოავლინა მადლი ღვთაებისა მისისა რათა პირველადვე დაიწინდოს კვართითა მით და მადლით ღვთაებისა მისისათა".

შემობრძანდა იბერიაში წმინდა ნინო და დადგა ჟამი უფლის კვართით დაწინდული „საზეპურო ერის" ქრისტესთან ქორწილისა, შეერთებისა... ღვთის სასწაულითა და წმინდანის ლოცვით მოქცეულმა მეფე მირიანმა თავის სამეფო ბაღში ტაძრის აშენება გადაწყვიტა. მოჭრეს ბაღში ამოსული მშვენიერი ლიბანის ნაძვები და მათგან 7 სვეტი გამოთალეს. შეკრეს ძალთაგან კედლები და აღმართეს ექვსი ბოძი თავ-თავიანთ ალაგას, ხოლო ტაძრის შუაში დასადგმელად მეშვიდე სვეტს, მიუხედავად ბევრი წვალებისა, ძვრა ვერ უყვეს. მოსაღამოვდა. მეფე და მისი მხლებელნი სასახლეში წაბრძანდნენ. სვეტთან მხოლოდ წმინდა ნინო დარჩა მოწაფეებთან ერთად. სასოწარკვეთილმა ეშმაკმა მათი შეშინება სცადა, მაგრამ წმინდა ნინოს ლოცვამ დაამხო მისი მანქანება.

იცისკრა. ემოციებისგან დაღლილებს მიეძინათ. მხოლოდ აბიათარ მღვდლის შვილი სიდონიაღა ფხიზლობდა. წმინდა ნინო ხელგანპყრობილი ლოცულობდა. უეცრად მასთან ნათლით შემოსილი ჭაბუკი მივიდა და სამი სიტყვა უთხრა. ქალწული მის წინაშე პირქვე დაემხო, ხოლო ჭაბუკმა მოჰკიდა სვეტს ხელი და ზეცად აღამაღლა. რამდენიმე ხნის შემდეგ ცეცხლის სახედ შეცვლილი სვეტი ნელ-ნელა ჩამოეშვა, იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც ხე მოკვეთეს და მინიდან ორ წყრთაზე გაჩერდა, „ზე ჰაერთა საკვირველად გამოკიდებული". ასე მოგვითხრობს „სვეტიცხოვლის საკითხავი", ხოლო „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ცეცხლის სვეტი ჩამოშვებულა, ამავე ადგილას დამდგარა და კაცთაგან ხელშეუხებლად დამყარებულა.

ამ საოცარმა ამბავმა მთელი ქართლი შეძრა. მოდიოდნენ სვეტთან და ვეღარ შორდებოდნენ საკვირველ სახილველს. სვეტის ძალით უამრავი სასნაული მომხდარა. პირველად შობითგან ბრმა ურია განუკურნავს სვეტიცხოველთან მიახლებას, შემდეგ საწოლს მიჯაჭვული ყრმა სეფეწული ამაზასპანი დაუყენებია ფეხზე. იმხანად ერთ ურიას მხოლოდშობილი ძე მოჰკვდომია. ყველა სვეტი-ცხოველის სახილველად წასულა, მიცვალებულთან მხოლოდ მშობლები დარჩენილან, რომლებიც თურმე მწარედ მოთქვამდნენ და შვილს ევედრებოდნენ: „აღდეგ, მხოლოდშობილო ჩვენო, რათა მივეახლნეთ სვეტსა მას ნათლისასა", რათა ვიხაროთ სხვებთან ერთადო. და უცებ, თითქოს გაიღვიძაო, მიცვალებული ყრმა წამოდგა და სვეტიცხოველთან წაყვანა მოითხოვა. ყვებოდა, რომ ჯოჯოხეთის უფსკრულში იყო ჩავარდნილი; ანაზდად ზეციდან ნათლის სვეტი ჩამოეშვა, რომლის თავზეც მაცხოვარი იჯდა დიდებით. უეცრად სვეტიდან ხმა მოისმა: „მეცოდებიან შენი მშობლები, მათი ტკივილისგან „მელმისო გული", - მერე კი ანგელოზთ უბრძანა, ყრმის სული სხეულში დაებრუნებინათ.

ამ სასწაულმა უფრო ააფორიაქა ხალხი. ყველა ცდილობდა სვეტიცხოველთან მიახლოებას. აღტყინებისგან ერთმანეთს თელავდნენ. მაშინ მეფე მირიანმა სვეტს ფიცრის საბურველი შემოახვია. საბურველმა ვერ დააბრკოლა სვეტიცხოველის მადლი...

მალე აქ პირველი ტაძარი აშენდა. წმინდა კონსტანტინე დიდმა მეფე მირიანს ეპისკოპოს იოანეს ხელით გამოუგზავნა ძელიცხოვლის ნაწილი, სამსჭვალნი და ფიცარი, რომელზეც მაცხოვრის ფერხნი იყო მიმსჭვალული. ეპისკოპოსმა ძვირფასი ძღვენი ერუშეთსა და მანგლისში დატოვა, მეფე მირიანთან კი ხელცარიელი დაბრუნდა. გულდაწყვეტილი მეფე წმინდა ნინომ ანუგეშა - უთხრა, რომ იგი უდიდეს სიწმინდეს ფლობდა - მის ბაღში იყო დაკრძალული უფლის კვართი და ილია წინასწარმეტყველის ხალენი. მეფემ ურიებს დანვრილებით გამოჰკითხა ყოველივე. მათაც წმინდა ქალწულის ნათქვამი დაადასტურეს. მაშინ კი აივსო მეფე სიხარულით და ადიდა უფალი.

მირიანის ვაჟს, რევის, მეფობის ჟამს შეშინებია, სვეტი-ცხოველი საბურველისგან არ განძარცვონ და არ მოიპარონო, და მის გარშემო ქვითკირის კედელი აუშენებია. მოგვიანებით ვახტანგ გორგასალმა ხის ტაძრის ადგილას მოზრდილი ქვის ბაზილიკა ააგო თორმეტი მოციქულის სახელზე. ეს ტაძარი აბულ ყასიმს გადაუწვავს მეათე საუკუნეში, მაგრამ მალევე აღუდგენიათ. გიორგი I-ის მეფობისას კი კათოლიკოსმა მელქისედეკმა მის ნაცვლად დიდი გუმბათოვანი ტაძარი ააგებინა. ტაძარი თემურ ლენგის შემოსევისას დაზიანებულა და ალექსანდრე დიდს იგი ხელახლა აღუდგენია. ტაძარი კვლავ დაზიანებულა შაჰ-თამაზისა და მისი შვილიშვილის შაჰ-აბასის შემოსევებისას. როსტომ მეფის მეუღლეს, მარიამ დედოფალს, 1656 წელს აღუდგენია სვეტიცხოვლის გუმბათი, რის გამოც იგი ვაჟთან ერთად ტაძარში გამოუსახავთ. შემოსევების გამო დაზიანებულა სვეტი-ცხოვლის ირგვლივ აშენებული გოდოლიც და იგი აღუდგენიათ 1675 წელს, კეთოლიკოს ნიკოლოზის ბრძანებით. გოდოლი „მოქცევაი ქართლისაის" სცენებით მოუხატავს გრიგოლ გურჯვარიშვილს.

სვეტი-ცხოველის ძირიდან უძველესი დროიდან მოედინებოდა მირონი, რომლითაც საზრდოობდა და წარემატებოდა ქრისტეს სარწმუნოებაში ქართველი ერი. პლატონ იოსელიანის ვარაუდით, ეს მაცოცხლებელი წყარო შაჰ-აბასის შემოსევებისას, 1614-1617 წლებში, უნდა დაწყვეტილიყო, რადგან შაჰს თურმე ძალზე შეურაცხუყვია ტაძარი, ხოლო 1624 წელს შაჰ-აბასის თანამედროვემ, „საელჩო პრიკაზში" გამოძახებულმა იოანიკე ბერძენმა, ივან გრამოტინს ასეთი რამ უთხრა: როცა შაჰ-აბასის პაპამ, შაჰ-თამაზმა, ივერია დალაშქრა (ეს იყო 1541-1553 წლებში), შაჰს სვეტიცხოვლის ტაძარი ცხენებისა და პირუტყვის სადგომად გადაუქცევია; აი, სწორედ მას შემდეგ შეწყდა სვეტიდან მირონის დენაო.

მონატრება

ზურა ნატროშვილი

გაუსაძლისი ტკივილით მერვე დაბადების დღეს მოვესწარი, შვილო, უშენოდ. ოქტომბერში მოევლინე ქვეყანას და ოქტომბერშივე წახვედი ცათა სასუფეველში.

ალალი, კეთილი, ხელგაშლილი, იუმორით სავსე- აი, ასეთი იყავი ყველასთვის.

სიცრუე ყოფილა, რომ თითქოს მიწა გრილია და დრო მკურნალი, რაც დრო გადის, მით უფრო მტანჯველი სევდა მეუფლება, გენაცვალოს დედა.

შენმა სალომემ იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და უკვე იუსტიციის სამინისტროში მუშაობს მრჩევლად - როგორ იამაყებდი, შვილო. შენი ძმისშვილები გაიზარდნენ და ყველა თავის გზას დაადგა,-როგორ გაიხარებდი, შვილო, ჩვენო ტკივილო, როგორ მენატრები, რომ იცოდე.

16 ოქტომბერს შენს საფლავზე შევიკრიბებით შენი ახლობლები, მეგობრები. აგინთებთ სანთლებს და ვილოცებთ შენი ლამაზი სულისთვის. სულ მუდამ გვახსოვხარ, ვილოცებთ, რათა განისვენო იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი მშობლები და ახლობლები.
სოფელი ზემო მაჩხაანი.

მშობლები: ნატო, ნუკრი გონაშვილები; ძმა ბიჭიკო; ბებიები: ჟუჟუნა, ნინო; პაპა ალექსანდრე ბუთხუზი; ბიძები: დათო გონაშვილი, ნასყიდა ბუთხუზი; დეიდები: ზაირა, ირმა, თინიკო. ბიცოლები: ნონა, დარეჯანი; ბიძები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან

დავით გონაშვილის

გარდაცვალებას.
დაიკრძალა 8 ოქტომბერს, სოფელ სამრეკლოში.

სააქციო საზოგადოება „ტრანსპორტელის" თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნანა ლამაზოშვილს დედის

ზინა ლამაზოშვილის

გარდაცვალების გამო.

მარინე და გურამ მოლაშვილები ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბავშვობის მეგობრის

ნუგზარ იასონის ძე ინაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პაატა, ზურა, ნინო ბუწაშვილები; მარინა და გიორგი ღვინიაშვილები; თეა კედელაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ნუკრი გონაშვილის ოჯახს

დავით გონაშვილის

გარდაცვალების გამო.

ჯროსვორდი



ჰორიზონტალურად: 1. მიმდებარედ, აქვე... 9. ფობიების შიში. 10. მაღალ ოთახში გაკეთებული ზედა ნახევარიარუსიანი სართული. 12. მეტყველების ორგანო. 13. ფასიანი ქარალდი, რომელიც ადასტურებს მის მფლობელის მონაწილეობას სააქციო საზოგადოების კაპიტალში და აძლევს მას დივიდენდის უფლებას. 14. სომხეთის დედაქალაქი. 15. რთული სიტყვების წინსართი. 16. შეძახილი ჭიაკოკონობის დროს. 18. პერსონაჟი სესილია თაყაიშვილის შესრულებით, ფილმში „დათა თუთაშხია“. 22. ციხე ცხინვალის მუნიციპალიტეტში, ლიახვის მარჯვენა ნაპირზე. 23. სამხატვრო გამოფენის საზეიმო გახსნა. 25. აქლემებში წყლის მარაგის ადგილი. 26. მასობრივი განადგურების იარაღი. 27. ჩვილი ბავშვი. 28. კანქვეშა ჯირკვლების მიერ გამოყოფილი გამჭვირვალე სითხე. 29. ჰომეროსის პოემა, ბერძნული ლიტერატურის უძველესი ნიმუში. 30. ტროპიკული მცენარე, რომლის სამშობლო ინდოეთია. უხსოვარი დროიდან ცნობილია მისი სამკურნალო თვისებების შესახებ. იყენებენ კულინარიაშიც სანელებლად.

ვერტიკალურად: 2. თურქეთი სულთანი, იგივე... 3. ჭადრაკის ფიგურა. 4. არმიის, ფლოტის სამართალდამცავი სტრუქტურების სამეთაურო შემადგენლობის წარმომადგენელი. 5. სვაზილენდის დედაქალაქი. 6. აფხაზეთის სახელწოდება აფხაზურ ენაზე. 7. ბუნებრივი საფეიქრო ბოჭკო. 8. ბალახის თვისების მქონე. 11. ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი გლეხის გვარი (1797-1842 წწ). 17. სლოვენიის დედაქალაქი. 19. ქართველი პოეტი იოსებ.... 20. მიწის ქვეშ მობინადრე მღრღნელი. 21. ნაშალი ან ზვინულიტვირთის გადაზიდვაზე სპეციალიზირებული გემი. 24. ნელი და ხანგრძლივი წვიმა. 26. რომის პაპის ბრძანებულება, წერილი, ან სიგელი. ბეჭედი, რომელიც ასეთ დოკუმენტს აზის. 27. საყანედ გაკაფული ტყე, ანუ...

ტესტი

როგორია თქვენი ხასიათი?!

ფსიქოლოგიური ტესტი, რომელიც სურათების მიხედვით გამოიცნობს თქვენს ხასიათს. გთხოვთ ამ სურათებიდან ამოირჩიოთ ერთი, რომელიც თქვენი აზრით ყველაზე მეტად შეგესაბამებათ თქვენ.



შედეგები:

○ უზრუნველი, მხიარული, მხნეშენ გიყვარს თავისუფალი, სპონტანური ცხოვრება. შენ ცდილობ,რომ ბოლომდე მიიღო ცხოვრებისგან სიამოვნება. შენი დევიზია „ადამიანი მხოლოდ ერთხელ ცოცხლობს.ხარ დაინტერესებული ყველაფერი ახლით,ადვილად ეგუები მას. შენი ცხოვრება ცვალებადია და ყოველთვის მზად ხარ სიურპრიზებისთვის.

○ დამოუკიდებელი, თავისუფალი შენ ითხოვ თავისუფალ ცხოვრებას საკუთარი თავისთვის, რაც განსაზღვრავს შენი ცხოვრების კურსს. ძალიან ხარ გატაცებული შენი სამსახურით. დილობ ყველაფერი ზედმიწევნით კარგად შეასრულო, მაგრამ შენს სწრაფვას თავისუფლებისაკენ ხანდახან სრულიად საპირისპირო შედეგამდე. ინდივიდუალისტი ხარ. არავის მიბაძავ ბრმად, პირიქით ცდილობ იცხოვრო საკუთარირცმენის შესაბამისად.

○ თვითდაკვირვებული, მგრძნობიარე შენ ძალიან ხარ დამოკიდებული გარემოზე სადაც შენ ცხოვრობ. ვერ იტან ზერელე დამოკიდებულებას საქმის მიმართ. შენი ურთიერთობა მეგობრებთან ძალიან მტკიცეა,რაც სულიერ სიმშვიდეს განიჭებს. ძალიან იშვიათად ხარ მოწყენილი.

○ მიწაზე მყარად მდგომი, განონასწორებული, ჰარმონიულ შენ გაქვს შენი საკუთარი სტილი, რომელიც შეუცვლელია. ხალხი მოხიბლულია თქვენიტ,რადგან შეიძლება თქვენი ნდობა. შენთან ახლომყოპ ადამიანებს სიმშვიდეს ანიჭებ. ყველა გიცნობს როგორც თბილ და ჰუმანურ ადამიანს, არ მოგწონს არაფერი ბანალური. სკეპტიკურად ხარ განწყობილი მოდის მიმართ.შენთვის აუცილებელია ჩასაცმელი იყოს პრაქტიკული და მოკრძალებულად ელეგანტური.

○ პროფესიონალი, პრაგმატული, საკუთარ თავში დარწმუნებული არ ენდობი ბედს და მეტად გწამს საკუთარი თავის. ყველა პრობლემას პრაკტიკულად და პრაგმატულად წყვეტ. რეალურად უყურებ შენს ცხოვრებას. შენთვის უცხოა მერყეობა. სამსახურში დიდი პასუხოსმგებლობა გაკისრია, რადგან ყველამ იცის,რომშენი ნდობა შეიძლება. არასოდეს ხარ საკუთარი მუშაობით კმაყოფილი სანამ ბოლომდე არ აასრულებ ჩანაფიქრს.

○ მშვიდი, წინდახედული, არააგრესიული შენ ხარ ნელი და ფრთხილი. ძნელად იძენ მეგობრებს. გირჩევნია საკუთარი მარტოობითა და დამოუკიდებლობით ტკბობა. გიყვარს განცალკევება და ცხოვრების აზრზე ჩაფიქრება. შენ გესაჭიროება სივრცე, ამსთვის ეძებ ლამაზ თავშესაფარს, თუმცა შენ მაინც არ ხარ მარტოსული. შენ სამყაროსთან ჰარმონიაში ხარ და აფასებ იმას, რასაც სამყარო გთავაზობს...

○ ანალიტიური, საიმედო, საკუთარ თავში დარწმუნებული კულტურა განსაკუთრებულ როლს თამაშობს შენს ცხოვრებაში. ნაპოვნი გაქვს შენი ინდივიდუალური სტილი, რომელიც ძალიან ელეგანტური და ექსკლუზიურია. გაგაჩნია განსაზღვრული დონე კულტურისა, რასაც იყენებ ხალხთან ურთიერთობისას.

○ რომანტიკული, მეოცნებე, ემოციური ძალიან მგრძნობიარე ადამიანი ხარ. არ გინდა მოვლენების აღქმა ისე, როგორც აღიქვამს ყველა დანარჩენი. ყველაზე მნიშვნელოვანი შენი გრძნობებია. პიქრობ, რომ აუცილებელია ადამიანს ოცნება გააჩნდეს. არ გიყვარს ადამიანები, რომლებიც რომანტიზმს უარყოფენ.

○ დინამიური, აქტიური, ექსტროვერტი ადვილად შეგიძლია გარისკვა. გიყვარს მრავალფეროვანი საქმის კეთება. შენთვის უცხოა ყოველდღიური რუტინა. ყველაზე მეტად რაიმე მოვლენაში აქტიური როლის თამაში გსიამოვნებს. მოგწონს როდესაც შენს დამსახურებებს ხმამაღლა აღნიშნავენ.

გამოსაშვები გამოცდები იწყება

12 ოქტომბრიდან მთელი საქართველოს მასშტაბით გამოსაშვები გამოცდები დაიწყება. 09:00 საათზე,საქართველოს ყველა რაიონის 1500-მდე მეტ სკოლაში მოსწავლეები გეოგრაფიის დავალებებზე მუშაობას დაიწყებენ. საგამოცდო პროცესში 2000-ზე მეტი მეთვალყურეა ჩართული.

გამოცდების ეროვნული ცენტრის ცნობით, 2013 წლიდან გამოსაშვები გამოცდები ორ ეტაპად ჩატარდება: ოქტომბრის პირველ ნახევარში მეთორმეტეკლასელები გამოცდებს 4 საგანში ჩააბარებენ (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია). იმ მოსწავლეებს, რომლებიც ოქტომბერში ვერ გადალახავენ ზღვარს რომელიმე გამოცდაში (ან ვერ გამოცხადდებიან გამოცდაზე), შესაძლებლობა ექნებათ შესაბამისი საგანი ნლის ბოლოს, ჩააბარონ დანარჩენ 4 გამოცდასთან (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა, მათემატიკა, ისტორია) ერთად.

ცვლილების თანახმად, 2013-2014 სასწავლო წლიდან კი გამოსაშვები გამოცდები მე-11 და მე-12 კლასებში გაიმართება. მე-11 კლასის მოსწავლეები სასწავლო წლის ბოლოს იმ საგნებს ჩააბარებენ, რომლის სწავლაც დაასრულეს. როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, ახალი სქემა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის ბევრად უფრო მოსახერხებელი იქნება.

„დედოფლისწყაროს საათი“
ილია მარტყოფლიშვილითან ერთად
კვირა 17:30

დარეკეთ სტუდიაში 0322 388-105
განმეორებით 00:30
მოძებნე „ობიექტივი“

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 14.10		სამშაბათი 15.10		ოთხშაბათი 16.10		ხუთშაბათი 17.10		პარასკევი 18.10		შაბათი 19.10		კვირა 20.10	
	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
	12 °	11 °	12 °	10 °	11 °	10 °	14 °	13 °	16 °	15 °	17 °	12 °	14 °	11 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა პოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ძენძაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ. პ. ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
551 25-17-44 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.

C M Y K